პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 31 (19473) ◆ ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მექანიზატორის სადღეისო თადარიგი

ამორის ძილს მისცემია მიწა ჩვენი მარჩენალი, მთები დაუთოვია, ბარში კი ზოგან თოვს, ზოგან ხანდახან მზე ანათებს... ახლა არც ხნავენ, არც თესავენ და არც მოსავალს იღებენ, მაგრამ მექანიზატორს საქმე რა გამოუვლეს. ზამთრის განრიგზე გადასული, იგი დღენაადაგ მონდომებითა და პროფესიული სიყვარულით ასრულებს თავის სამუშაოს.

ზუგდიდის რაიონის ინგირის საბჭოთა მეურნეობაში მეჩაიეთა შრომა თითქმის მთლიანად მექანიზებული რომ არის, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ცნობილ მექანიზატორს, სოციალისტური შრომის გმირს, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატს, ნოვატორ მერგოლურს ვალერიან მუნარგიას. შარშან მან მექანიზებული წესით მექვსრზე 16,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამასთან, მანქანით მოკრეფილი ნედლეულის ხარისხი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ხელით მოკრეფილს. წარჩინებული მექანიზატორი ახეთ წარმატებას იმით აღწევს, რომ სამექანიზაციო სამუშაოთა დაწყებამდე ხრულ წესრიგში მოჰყავს მანქანები. ასეა წელსაც. მერგოლურმა უკვე დაამთავრა მანქანების შეკეთება და საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებას მომზადებული ხვდება.

ასე იქცევიან თადარიგიანი და საზოგადოებრივი მეურნეობის ერთგული მექანიზატორები. ასეთები კი რესპუბლიკაში მრავლად არიან. ბევრი რაიონისა და საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი კარგად იყენებს მოწინავე მექანიზატორთა შრომის მეთოდებს, განაზოგადებს ნოვატორთა გამოცდილებას და ამით საქმეც წინ მიაყავს. ბევრი გამოცდილი და საქმის ერთგული მექანიზატორია გურჯაანის, წითელწყაროს, გორის, აბაშის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ხელვაჩაურის, გალის, ცხინვალისა და სხვა რაიონებში. მოწინავე მექანიზატორები მარტო ხვნა-თესვითა და მოსავლის აღების დროს კი არ მუშაობენ დაჩვრელურად, არამედ რემონტის დროსაც. მოწინავერის მოწინავეები, თუ ყოველ საქმეში არ გამოიჩენს თავს. ზამთრის ამ დღეებშიც ასეა. საკკ XXVII ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის ხაზორის რაიონის მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს, ყველა მარკის ტრაქტორების რემონტი იანვრის შუა რიცხვებისათვის დაემთავრებინათ, მიწის დასამუშავებელი მანქანებისა — თებერვლის შუა რიცხვებისათვის; კომბაინების რემონტი მარტამდე უნდა დაამთავრონ. აგროსამრეწველო გაერთიანების საინეინრო სამსახური შეჯიბრების მიმდინარეობას მარტო კი არ ამოწმებს, არამედ კონკრეტულად ეხმარება კიდეც სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და დროზე შესრულებაში. რაიონმა უკვე დაამთავრა ტრაქტორების შეკეთება. სამუშაოთა მიმდინარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ შეჯიბრებით ნაკისრ ვადაზე ადრე დამთავრდა მიწის დასამუშავებელი მანქანების რემონტი. რაიონულ შეჯიბრებაში დაწინაურებული რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს პირველი ბრიგადის (ბრიგადირი სერგო მოსიაშვილი) გამოცდილება მთელ რაიონში გავრცელდა და ამან სარემონტო სამუშაოები დაიჩქარა. წარმატებებს, სამწუხაროდ, ჩრდილიც ახლავს. ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობის მექანიზატორები ხვალის მოლოდინში ჩამორჩნენ. ალის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — გ. ხარაზიშვილი, მთავარი ინჟინერი — თ. ქოტიაშვილი) არათუ ჩამორჩებიან რემონტში, არამედ, უფრო მეტიც, ძვირად ღირებულ მანქანებს არ უფრთხილდებიან, უწესრიგოდ ქონდათ მიყრილ-მოყრილი ტრაქტორები, მისაბმელი მანქანა-იარაღები.

მანქანა-ტრაქტორთა პარკი საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე მზად უნდა იყოს. გამართული მანქანა წინ წაგდებული საგაზაფხულო სამუშაოა. ამიტომ ბევრი რაიონის მექანიზატორი დარიან დღეებს კარგად იყენებს. მანქანების რემონტის საქმე პირველ თებერვლამდე მოითავეს და მანქანები საგაზაფხულო სამუშაოთა დასაწყებად სასტარტო ხაზზე დგანან. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი ბევრგან წინა წელთან შედარებით უკეთესად მიმდინარეობს. ტრაქტორების შეკეთებაში დაწინაურდნენ ჭიათურის, წყალტუბოს, ტყიბულის ზონები, გარდაბნის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, მარნეულის, თელავის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონები. სათესი მანქანების შეკეთება დაამთავრეს ჭიათურისა და ტყიბულის ზონებმა, წალკის რაიონმა; მაგრამ ზოგან არის ნაკლიც, რომელთა გამოსწორება გაზაფხულის დაწყებამდე შესაძლებელია. ასეთი საზრუნავი აქვთ ახალციხის, ლენინგორის, მესტიის, ორჯონიკიძის, ცაგერის რაიონებს, სადაც ტრაქტორების შეკეთებისა და წესრიგში მოყვანის ტემპის დაჩქარებაა საჭირო. სათესი მანქანების წესრიგში მოყვანის დაჩქარება მართებს დუშეთის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას.

კარგად უთქვამთ — გაზაფხული დღემეხვალიეებს არ მოუცდიხო. არცთუ ისე დიდი დრო დარჩა გაზაფხულამდე. ეს დრო მექანიზატორებმა საქმიანად უნდა გამოიყენონ. რაც მთავარია, ახლა არის საშუალება მოწინავეთა გამოცდილების შესასწავლად და ფართო მასშტაბით დასანერგავად. ამ საქმეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება არა მარტო ორგანიზატორულ, არამედ კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უნდა უწევდეს.

მექანიზატორთა საკმაო ნაწილი კარგ ამინდებს ეშურებიან და ბალვენახებში და მინდვრად შეაქვთ სასუქები, მწკრივთაშორის ამუშავებენ მიწას, წესრიგში მოჰყავთ შიდასამეურნეო სარწყავი ქსელი, მუშაობენ მეცხოველეობის ფერმებში. მექანიზატორებმა გამართულად რომ იმუშაონ, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველფერი უნდა იღონონ, რათა მანქანები ყოველთვის უზრუნველყოფილი იყვნენ საწვავ-საპოხით, სათადარიგო ნაწილებით. ამასთან მნიდველობიდან არ უნდა გამორჩეთ თვით მექანიზატორი. ნახალისების ყოველგვარი ფორმა უნდა გამოიყენონ, რათა მანქანაზე მომუშავე კაცი ყოველდღე კარგი გუნება-განწყობილებით მიდიოდეს სამუშაოდ.

მექანიზატორის კარგი სამუშაო განწყობილება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ ხელმძღვანელები მერმონტეთა, მინდვრად და ფერმებში მომუშავე მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. მექანიზატორი და არა მარტო მექანიზატორი, არამედ სოფლის ყველა მშრომელი, ყოველდღე უნდა გრძნობდეს, რომ მუშა კაცის სახიკეთოდ დღენაადაგ ზრუნავენ ჩვენი პარტია, საბჭოთა მთავრობა.

მეთორმეტე ხუთწლედის განვლილ დროში, სოფლიდან მოსული ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კარგად, გერგილიანად შრომობენ მექანიზატორები. მეკენახეები, მეჩაიეები, მეხილე-მეციტრუსეები, მეცხოველეები, ისინი ენერგიის დაუშურველად ირჯებიან, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტთა მორიგ დიდ ფორუმს პირნათლად შეხვდნენ, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის უხვ მოსავალს.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობამ სამომავლოდ და უშუალოდ მეთორმეტე ხუთწლედისა და ამ ხუთწლედის პირველი წლის რეალური გეგმები შეიმუშავა სოფლად. ამ გეგმების შემსრულებელთა ავანგარდში ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენი სახელოვანი მექანიზატორები — მინდვრის ბატონ-პატრონები. ახლა სწორედ მათზეა დამოკიდებული მინდვრად ახალი ტექნოლოგიის დანერგვა, სიუხვისათვის გონივრული ენერგიული შრომა და ბრძოლა.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

— ჩემთვის, როგორც ვეტერანი ავტომშენებლისათვის, — ამბობს ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი იაშა ჯლამაძე, — საწარმოს კოლექტივის ღირსება პირადი ღირსებაა. ქარხანამ, მისმა კოლექტივმა მომაგო პატივი და სახელი. დღეს საწარმოს კოლექტივი დიდ საქმესაა შეჭიდებული და კიდევ უფრო დიდ სამომავლო ამოცანებს ისახავს.

შარშან ვიკისრე ვალდებულება, ჩემი მიზეზით ახალი ავტომობილის ასაწყობი კონვეიერი არ შეფერხებულიყო, წლის ბოლომდე დამემზადებინა 160 ცალი რთული სამარჯვი, მთლიანად გამომერიცხა წუნი, და სიტყვა არ გამიტეხავს.

იაშა ჯლამაძის ამ ინიციატივა-ვალდებულებას ფართოდ გამოეხმაურნენ ქუთაისელი ავტომშენებლები.

ვინ არის იაშა ჯლამაძე, როგორ გახდა ახე პოპულარული მისი სიტყვა და საქმე?

იგი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ტიპური წარმომადგენელია. მუშის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. ქუთაისის მე-4 სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა ზეინკლად საავტომობილო ქარხნის საიარაღო-სატვირთო საამქროში სამარჯვების უბანზე. მას შემდეგ ერთგულად ემსახურება ამ საქმეს. მოგვიანებით წარმოებას მოუწყვეტლივ დაამთავრა ავტომექანიკური ტექნიკუმი.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

გულღია, ალალი, თავისი საქმის კარგი სპეციალისტი, მოთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი, — ასე ახასიათებენ მას ქარხნის კოლექტივში. მისი აღზრდილები, ახლა უკვე სახელმოხვეჭილი ავტომშენებლები — გ. სახვაძე, ვ. კიკნაძე, ვ. სარაშვილი და სხვები მხარში უდგანან თავიანთ დამრიგებელს და ტოლს არა უდგანან შორიდან. კომუნისტი მუშა, ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი 1947 წელს [illegible] 1970 წლიდან კი ჯუ[illegible] [illegible] ტია; იგი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრია.

იაშა ჯლამაძის როგორც მოწინავე მუშის დამსახურებასა და აღიარებაზე ნათლად მეტყველებს მთავრობის საპატიო ჯილდოები. ჯერ კიდევ მერვე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1974 წელს — ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, 1981 წელს კი საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

იყო კარგი მუშაკი, საქმისათვის თავდადებული ადამიანი, ყოველივე ეს, როგორც იტყვიან, მედლის ერთი მხარეა. ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორი ოჯახი შექმენი, როგორ ზრდი შვილებს. იაშა ჯლამაძე იშვიათი მეუღლე და შესანიშნავი მამაა, შეხმატკბილებული ოჯახი აქვთ ჯლამაძეებს. იაშას მეუღლე — ნიორა აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ძაფსაღები წარმოებას მოწინავე მუშაა, იგი არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული ფეიქართა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შვილებმა — დარეჯანმა და ანტონმა — უმაღლესი ტექნიკური განათლება მიიღეს. ქალაქშვილი მოტობლოკების ქარხნის ტექნოლოგია, ხოლო ვაჟი — ტრიკოტაჟის საწარმოში მუშაობს. მოტობლოკების ქარხნის ექსპერიმენტული საამქროს ინჟინერ-გამომცდელია ხიძე გიორგი ჭარელიძე, ხოლო რძალი ირინე ასევე მოტობლოკების ქარხანაში შრომობს.

იაშა ახლა უკვე სამი შვილიშვილის ბაბუაა, იმედითა და რწმენით შეჰყურებს მომავალს.

დ. გედენიძე.

სურათზე: ი. ჯლამაძე.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲙᲙᲗ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲡ

◆ **თბილისი.** „ანალიზელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა მშრომელების ინიციატივას — 15 თებერვალს მოაწყონ საკკ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა.

გაერთიანებაში კარგი ხანია შეუდგენენ მზადებას. შეიქმნა შაბათობის მომწყობი შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარტიული კომიტეტის მდივანი თემურ უშანგიშვილი. შემშავდა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც შაბათობაში მეთაური ქარხნიდან მოხაწილეობას მიიღებს 500 კაცი, ხოლო ინსტიტუტიდან — 1300. ისინი დასაქმებული იქნებიან ძირითადად თავიანთ სამუშაო ადგილებზე. გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი საწარმოს და ინსტიტუტის შიდა ტერიტორიას კეთილმოაწყობს. შეადგენენ სამ ავტომანქანა ჯართს.

გაერთიანების მშრომელებმა გადაწყვიტეს 15 თებერვალი უდიდესი შრომის ნაყოფიერების დღედ გამოაცხადონ, თავიანთ სამუშაო ადგილებზე მთლიანად გამომუშაონ 24 ათასი მანეთი და ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ 1800 მანეთი.

(„კომ.“ კორ.).

● **სიღნაღი.** (საკ. კორ.). „იორწყალმშენის“ ტრესტი ერთ-ერთი მსხვილი, მექანიზებული საწარმოა რაიონში, რომელიც ყოველწლიურად ათეულ მილიონობით მანეთის სამეალიორაციო სამუშაოებს ასრულებს როგორც სიღნაღის, ისე კახეთის სხვა რაიონებში.

იმ დღიდან, რაც მისი ყველა ბრიგადა (ასეთი კი სულ 33-ია) კოლექტიურ-იჯარულ მუშაობაზე გადავიდა, მთლიანად ტრესტი ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ დავალებებს დიდი გადამეტებით ასრულებს.

მარტო შარშან შესრულებულია 81 მილიონ 355 ათასი მანეთის სამელიორაციო სამუშაოები, გასარწყავდა 612 ჰექტარი მიწა, ხოლო 637 ჰექტარზე შესრულდა დამატებითი სამელიორაციო სამუშაოები.

შესაბამისად იმატა შრომის ნაყოფიერებამ. გაუმჯობესდა სამუშაოთა შესრულების ხარისხი.

რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივის პასუხად, კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს საკკ XXVII ყრილობის აღსანიშნავად პირველი კვარტალის დავალება შეასრულოს ვადამდე — 25 მარტისათვის, ერთ დღეს იმუშაოს უსასყიდლოდ და გამომუშავებული თანხა გადარიცხოს მშვიდობის ფონდში.

ᲖᲔᲘᲜᲙᲚᲐᲚᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲐᲨᲐ ᲯᲚᲐᲛᲐᲫᲔ.

ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲓᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მშრომელთა კოლექტივების წინადადებას — 1986 წლის 15 თებერვალს მოეწყოს კომუნისტური შაბათობა სკკ XXVII ყრილობის აღსანიშნავად და ამ დღეს გამომუშავებული სახსრები გადირიცხოს მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიმართავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სამინისტროს ამხ. ო. გ. ვარძელაშვილის ინფორმაცია მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არასაკმარისად ცნო. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს დავალებული აქვთ შეიმუშაონ იმ ორგანიზაციული, პოლიტიკური და ტექნიკური ღონისძიებების ზუსტი ურთიერთდაკავშირებული გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მომზადებასა და მათს შემჭიდროებულ ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა სკკ წევრის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ამხ. გ. ბ. ქაშაკაშვილის ანგარიში „1985-1986 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდის სამუშაოებისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომზადების შედეგების შესახებ“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე. აღინიშნა, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის დადებით მუშაობასთან ერთად საწარმოში კვლავ არის არსებითი ნაკლოვანებანი. დაისახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

მოისმენეს აგრეთვე სკკ წევრის, სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთა-ვარწყალმშენის უფროსის პირველი მოადგილის ამხ. გ. ს. მამაცაშვილის ინფორმაცია 1985 წელს სამელიორაციო მიწათმოქმედების ეფექტიანობის გადიდებისა და 1986 წლის რწყვის სეზონისათვის სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციის სამსახურების მომზადების მიზნით გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ. დასახელებული სამსახურების მუშაობა არასაკმარისად ცნეს. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაევალათ გაძლიერონ კონტროლი სამელიორაციო მიწათმოქმედებაში საქმის ვითარებისადმი.

განიხილეს პირუტყვის გამოზამთრების მომზადებისა და მოწყობისათვის ყვარლის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის საკითხი. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲡ ᲜᲣ ᲛᲝᲕᲐᲙᲚᲔᲑᲗ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲖᲐᲛᲗᲠᲔᲑᲐᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების პირველი ეტაპის შედეგები. აღინიშნა, რომ ცხინვალის, ზნაურის, ჯავის და ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეშფოთებას იწვევს მეცხოველეობის ფერმების მდგომარეობა. ბევრ მეურნეობაში იკლო წველადობამ. დაბალ დონეზეა საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, დადგენილი წესების დარღვევით ფორმდება მეცხოველეობისა და საკვებწარმოების დოკუმენტები. არის საანგარიშგებო მონაცემების დამახინჯების ფაქტები. შესუსტებულია კონტროლი გეგმების შესრულების ანგარიშების უტყუარობისადმი.

ოლქის ბევრ მეურნეობაში არ აკონტროლებენ რძის ხარჯს. ცხინვალის რაიონის სოფელ ძარწემის კოლმეურნეობაში ხბორების გამოსაკვებად რძის ხარჯის უწყისებში 34-ის ნაცვლად ნაჩვენებია 83 ხბო. ამრიგად, მარტო 1985 წლის ნოემბრის მანძილზე მეურნეობაში უკანონოდ ჩამოიწერა 2.940 კილოგრამი რძე.

ოლქის მეურნეობებში, ინგარიშების თანახმად, ერთ პირობით სულ საქონელზე განგარიშებით 1985 წელს დამზადებულია 8,6 ცენტნერი საკვები ერთეული. მაგრამ, როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, ფაქტობრივად დამზადებული ყოფილა მხოლოდ 6,2 ცენტნერი.

ჯეროვან კონტროლს არ უწევენ შემოსავალში საკვების გატარებას, შენახვასა და ხარჯვას. ცხინვალის რაიონის ვანათის საბჭოთა მეურნეობაში დატაცებულია 7,6 ტონა კომბინირებული საკვები. უხეშში საკვები მიწაზე ეყარა ცხინვალის რაიონის სოფლების ქემერტისა და ძარწემის კოლმეურნეობების, ჯავის საბჭოთა მეურნეობების ფერმების ტერიტორიაზე.

შემოწმებულ მეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად სწვდებიან მეცხოველეობის საქმის მდგომარეობას, პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობას, არ ისმენენ კომუნისტ მეცხოველეთა ანგარიშებს.

ასეთი მდგომარეობა შეიმჩნევა, კერძოდ ჯავის რაიონის კიროვის საბჭოთა მეურნეობაში, სოფლების მუგუთისა და ავნევის კოლმეურნეობებში, ზნაურის რაიონის ბალთის საბჭოთა მეურნეობაში, ლენინგორის რაიონის სოფელ ბალანის კოლმეურნეობაში.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელებიც არ უთმობენ ჯეროვან უურადღებას პირუტყვის ზამთრობას, წარმოებული პროდუქციის ყოველდღიურ აღრიცხვას, ფერმების პროდუქტიულობის ზრდის ყველა რეზერვის გამოვლენას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო მუშაობა, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ეწევიან პირუტყვის წლევანდელი ზამთრობის ორგანიზაციისა და მოწყობისათვის. საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს დაევალა თავის პლენუმზე განიხილოს დარგის მდგომარეობა, რესპუბლიკის სახალგრმრეწვთან ერთად გააანალიზოს პირუტყვის ზამთრობის მიმდინარეობა, ყველაფერი იღონოს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამის გამო, რომ სუსტად ეწეოდნენ ორგანიზატორულ მუშაობას პირუტყვის ზამთრობის მომზადება-მოწყობისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა და კომუნისტთა მობილიზაციისათვის მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობის გასადიდებლად და წარმოების ტემპის დასაჩქარებლად, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის მდივანს ფ. ჯიოევს გამოეცხადა საყვედური, საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივანი ა. კაჩმაზოვი გაფრთხილებულია, საოლქო აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ნ. ურჯუმელაშვილს გამოეცხადა საყვედური.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახგრომრეწვს დაევალათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის ზამთრობის მიმდინარეობას, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ უზრუნველყონ წარმატებული გამოზამთრება, პროდუქციის წარმოების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება.

(საქინფორმი).

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲚᲣᲡᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲛᲐᲠᲗᲝ ᲠᲝᲛ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲘᲡ...

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება უფრო ორგანიზებულად წარმართეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ამ საქმეში თაოსნობა გამოიჩინა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მფლობელმა ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე — მ. ლომაია, ფერმის გამგე — მ. ბიგვავა), სადაც გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი თივა, სენაჟი, სილოსი, ჩალა, საკვები ძირხვეები დაამზადეს, შედეგმაც არ დააყოვნა, გამოზამთრებიდან განვლილ სამ თვეში წველადობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 16 ტონით გაიზარდა, საშუალოდ მფლველ ძროხაზე 52 კილოგრამით მეტი რძეა მიღებული. საგულისხმოა ისიც, რომ ფერმა ახალგაზრდა მუშაკებით არის დაკომპლექტებული.

ეახათის მარქსის, შამგონის კიროვის, რიყის, ჯიხაჭარის კომკავშირის, ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში, დარჩენლის ჩაის და ორსანტიის სანერგე მეურნეობებში, პირუტყვის გამოზამთრება ნორმალურად მიმდინარეობს.

ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — რ. ჯალაღონია; ფერმის ბრიგადირი — ნ. მესხი) საკვების საკმაო მარაგი აქვთ; 148 სული პირუტყვი იზამთრებს ფერმაში. სადგომები დათბუნებულია, დაცულია ნორმალური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მატებაა წველადობაში.

ზამთარს მოუმზადებელი შეხვდნენ ჭითაწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — მ. ბოკუჩავა, ფერმის გამგე — გ. სალია) მეცხოველეები. ფერმის ეზო გაუვალია, გუბეები დგას, ცუდია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, პირუტყვის სადგომები დაუსუფთავებელია. პრიმიტიულ ნაგებობაშია სახბორე, სადაც მექანიზებულია მხოლოდ ნაკელის გატანა, წესრიგშია მოსაყვანი ნაკელსაცავი. მეცხოველეთა მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაზე კოლმეურნეობის გამგეობას და პარტბიუროს ჯერაც არ უფიქრიათ.

ანალოგიური მდგომარეობაა მეზობელ ცაიშის მეურნეობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — გ. ბოხუა, ფერმის გამგე — დ. წყაბერია). 263 სულ პირუტყვს აზამთრებენ ძველ, ამორტიზებულ ნაგებობებში. მათი დათბუნება თითქმის შეუძლებელია, დაბზელ სადგომში ჰყავთ ახალშობილები, არ მუშაობს საკვების შესამზადებელი საამქრო, წესრიგშია მოსაყვანი ფერმის ტერიტორია. კოლმეურნეობის გამგეობა და სპეციალისტები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პირუტყვის ჯიმობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, ფერმა ძირითადად დაკომპლექტებულია ნაკლებად პროდუქტიული საქონლით. უკეთესობა არც სოფელ ურთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაშია.

პირუტყვის გამოზამთრება საკმაოდ ნაგრძელი პერიოდია. მის ორგანიზებულად ჩატარებაზეა დამოკიდებული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გამზადების სახელმწიფო დავალებათა შესრულება. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს რაიონში, მაგრამ გასაკეთებელი და მისაღწევი ჯერ კიდევ საკმაოდ არის. რაიონში დამფიქრებელი მდგომარეობაა სპეციალისტების მხრივ. 25 კოლმეურნეობისა და 12 მეურნეობაში უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ 12 ზოოტექნიკოსი და 11 ვეტექიმია.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ამჟამად 9728 სული პირუტყვი იზამთრებს. მათ შორის 2681 ფურია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოიმატა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ. იანვარში სახელმწიფოს მიეყიდა 191 ტონაზე მეტი რძე, შარშან იანვართან შედარებით გაცილებით მეტი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. საქმე ის არის, რომ წარმოების და დამზადების გეგმებს უნდა ასრულებდეს ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა. ცალკეული მოწინავე მეურნეობათა კალთას როდემდის უნდა იყვნენ ამოფარებული ჩამორჩენილი მეურნეობები?

ქართველ კაცს ჭკვიანურად უთქვამს: მარტი რომ წინ გადგოს, ზამთარს ნურც აქვს და ნურც ადაგებო. გამოზამთრების დამთავრებამდე საკმაო დროა, ამიტომ ყოველთვის უნდა ვიყოთ მობილზებული, ორგანიზებული და სერიოზულად უნდა ვიფიქროთ, რომ მარტი ჭირვეული თვეა და პირუტყვს არაფერი არ გაუჭირვოთ.

Თ. ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1730“

1986 ᲬᲚᲘᲡ 4 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1730“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდინ).

ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲢᲘᲠᲫᲜᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ: ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲝᲒᲘ

ᲢᲘᲠᲘᲤᲝᲜᲘᲡ არხის „ალაპოტის მონაკვეთი, რომელიც მელიორატორებისათვის გამოუსადეგარი გახდა, გორის რაიონის ტირძნისის საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედებმა გუბურად გადააკეთეს. წლის დამლევს ისინი თევზის პირველ

პარტიული ცხოვრება:

სიტყვა ეძლევა დელეგატს

ვისაუბრობთ გულახდილად

მარტო მეთერთმეტე ხუთწლედში ხუცუბნელმა მეჩაიეებმა 21 ათას ტონამდე ჩაი მოვკრიფეთ — დაგეგმილზე 2.400 ტონით მეტი. საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 12.110 კილოგრამს მიაღწია, რაც წინა ხუთწლედთან შედარებით 2000 კილოგრამით მეტია.

სამწუხაროდ, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ასეთი წარმატებები არა გვაქვს მეცხრესეობაში. ხუთწლედის მანძილზე 487 ტონა ციტრუსი დავაკელით სახელმწიფოს. ჩვენი ჰექტარობრივი მოსავალი საშუალო რაიონულზე ნაკლებია. ეს იმიტომ, რომ არ გვივარგა მიწათმოქმედების „ულტურა. არც შრომის დისციპლინაა ჯეროვან დონეზე. 62 კოლმეურნეს არ შეუსრულებია შრომის სავალდებულო მინიმუმი, თქვსმეტს კი საერთოდ არ უმუშავია. უსაქმურობა მხდლოდ ზარალი როდია, ხშირად იგი დანაშაულის დედა ხდება. სწორედ უსაქმურობა გახდა ხუცუბანში დატრიალებული ტრაგედიის — მკვლელობის მიზეზი, რომელიც სამარცხვინო ლაქად დაჩნდა მთელ სოფელს.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით მთლიანად არ გვაქვს დაამბანული რესპუბლიკის გარეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის უკანონოდ გატანის კარი. ამით ისარგებლა რამდენიმე ხუცუბნელმა და შორეულ ბაზრებს მიაშურა. განხორციელდა რადიკალური ღონისძიებანი. სოფელმაც ეღირს თანასოფლელებს საკადრისი მსჯავრი გამოუტანა. მაგრამ საკითხავია, ამ შემთხვევიდან თითოეულმა თუ გამოიტანა საჭირო დასკვნა, შეიგნეს თუ არა თავიანთი საქციელის უღირსობა, თუ სხვა დროსაც მოძებნიან გასაძრომს.

ლოთობისა და ალკოჰოლიზმის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ სოფელში თითქმის აღიკვეთა გადაჭარბებული ქორწილები და ქელეხები. მაგრამ ბოლომდე არც ეს სამე მიგვიყვანია. ზოგიერთი ვერა და ვერ ელევა ჩვეულებას და კვლავ ეტანება ალკოჰოლს. მიძნელდება, მაგრამ მაინც უნდა დავასახელო რამდენიმე ამგვარი თანასოფლელი — ვ. ბოლქვაძე, თ. მკვანაძე, მ. ჯიბუჭარაძე და სხვები. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია საჭირო ზემოქმედებას ვერ ახდენს საერთო ატმოსფეროზე და მოგლენებზე, პასიური მეკვრეტელის როლში გამოდის.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელში მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ერძმესაკუთრული ტენდენციები. არის გაუფორმებელი კომლები, რომლებმაც თვითნებურად საცხოვრებელი სახლებიც კი აიშენეს. საკითხავია, ადგილობრივი და რაიონული საბჭოს აღმასკომები რატომ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს?

მე, როგორც პარტიის რაიკომის ბიუროს წევრს, მშრომელები ხშირად მეკითხებიან მომწიფებულ და გადაუწყვეტ პრობლემებზე, თვალსაჩინო ნაკლოვანებებზე. მაგალითად, ხუცუბანში რატომ არ დამთავრდა პოლიკლინიკის მშენებლობა? რატომ გაჭიანურდა სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა? ამ საკითხებით უნდა დაინტერესდეს სამეურნეოთაშორისო საბჭო. ჩვენ მზეზები და ბოდიშები კი არ გვინდა, არამედ გასაკეთებლის დროულად გაკეთება, ასაშენებლის დროულად აშენება.

პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საჭმეს. უპირველეს ყოვლისა — ადამიანი, მისი კეთილდღეობა! — ასეთია მოწოდება. არც ამ მხრივ გვაქვს ყველაფერი რიგზე. ცუდად მუშაობს სატელეფონო სადგური, მოუწყობელია სამანქანო გზები, დაბალია კულტმასობრივი მომსახურება, იშვიათად ჩამოდიან ჩვენთან მოწონავე შემოქმედებითი კოლექტივები. როგორც ვხედავთ, საჭიროა მეტი ვიფიქროთ მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

მინდა ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვა რაიკომის მუშაობის სტილზეც. ზოგჯერ ბიუროს სხდომები 6-7 საათს გრძელდება; ეს იმიტომ, რომ ბევრია განსახილველი საკითხები. დამქანცველი შრომა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის გუნება-განწყობილებაზე, რაც, ბუნებრივია, მეორე დღესათვისაც გადადის და დაღს ასვამს შრომის ნაყოფიერებას. ნუთუ არ შეიძლება სხდომები უფრო კომპაქტური გავხადოთ, საუბრები — უფრო კონკრეტული და არსებითი. საქმე ამით მხოლოდ მოიგებს.

გახელილს რომ გავყურებ, თითქოს საკუთარი თავის უკმაყოფილო არ უნდა ვიყო. მეთერთმეტე ხუთწლედში შესაძლებლობა და ენერგია არ დამიზოგავს. პირადად მე 71 ტონა ჩაი მოვკრიფე, ჩემს კალენდარზე უკვე 1988 წელია, ასეთია ჩემი საყრილობო პატაკი.

ახლა, როცა ახალ, მეთორმეტე ხუთწლედზე ვფიქრობ, ვემზადები იმისათვის, რომ უფრო უკეთ და ნაყოფიერად ვიშრომო. ასეთია ჩვენი ცხოვრების პრინციპი და ლოგიკა. დღეს არ კმარა ის, რაც გუშინ საკმარისად მიგვაჩნდა. ქვეყანას სიუხვე და ბარაქა სჭირდება. სიუხვის შექმნა კი თითოეული ჩვენგანის თავდადებულ შრომაზეა დამოკიდებული.

გულნარა გოგიტიძე,

ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი.

ქმნიან ახალ ორგანიზაციულ პროექტებს

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ორიგინალურ პროექტებს ამუშავებენ „საქსოფლმშენპროექტის“ მეოთხე საარქიტექტორო სახელოსნოში.

ისინი დაამშვენებენ წითელწყაროს რაიონის მთისძირა სოფლებს ფიროსმანისა და რუსთაველს. შენობათა ყველა პროექტი თავისებურია არქიტექტურული სახითაც და ორიგინალური კონსტრუქციული გადაწყვეტითაც. აი, მაგალითად, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. პროექტების მიხედვით ისინი სამ, ოთხ და ხუთთვალიანი იქნება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო ოთახების რიცხვით, არამედ ფასადითაც.

ახალი დასახლებული პუნქტების საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების ობიექტების პროექტებს ზემოხსენებულ მეოთხე სახელოსნოში არქიტექტორთა და კონსტრუქტორთა შემოქმედებითი კოლექტივი ამუშავებს თენგიზ კვერცხიშვილის ხელმძღვანელობით.

სურათზე: „საქსოფლმშენპროექტის“ მეოთხე საარქიტექტორო სახელოსნოს ხელმძღვანელი თენგიზ კვერცხიშვილი ინჟინერ-კონსტრუქტორ ნათელა ბუჩუკურთან და არქიტექტორებთან გელა ხომერიკთან და ნუგზარ დვალთან ერთად განიხილავს ახალ პროექტს.

ფ. კრიმსკის ფოტო.

მეტად დაჭერებელი შედეგებით ხვდება სკკპ XXVII ყრილობას ჭუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, პროდუქციის ტექნიკური დონის მკვეთრი ამაღლებისათვის, საერთოდ ყველა საწარმოო მაჩვენებლის სტაბილურობისათვის მუდმივმა ზრუნვამ ქარხანა ნამდვილი აღმავლობის გზაზე დააყენა.

თითქმის მთლიანად განახლდა პროდუქციის ასორტიმენტი, მისი ტექნიკური დონე ახლა აკმაყოფილებს დროის უმკაცრეს მოთხოვნებს, შეესაბამება მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს.

ქარხნის კოლექტივის შემართებული შრომა მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ მანძილზე ხათანდოდ შეფასდა. ხუთწლედის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე წლების მაჩვენებლებით ელექტრიკოსები დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, 16-ჯერ ზედიზედ — სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობისა და შესაბამისი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშით.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მორიგ დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა ზემოხსენებული საწარმოს დირექტორს, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატს ხ. მურღულიას, საწარმოს პარტიიროს მდივანს დ. მარდალეიშვილს და მიულოცა მათ, მთელ კოლექტივს შეხანიშნავი წარმატება. გთავაზობთ საუბარს ხ. მურღულიასთან.

— **რამდენადაც ვიცით, თქვენს კოლექტივს შეტად პრინციპული ტექნიკური ხასიათის ამოცანა უნდა გადაეწყვიტა მეთერთმეტე ხუთწლედში?**

— დიახ, ამოცანა მართლაც განსაკუთრებით რთული და პასუხსაგები იყო. საქმე ის არის, რომ ადრე ჩვენს ქვეყანას ნავთობმომპოვებელი ჩასაძირი ელექტროძრავები ამერიკის შეერთებულ შტატებიდან შემოჰქონდა. ამიტომ დაგვეგალა შემეხედოთ ვადებში გადაგვეტანა ქარხანა ზემოხსენებული ელექტროძრავების ძირითად მწარმოებლად და ვამაყობთ, რომ მივაღწიეთ მიზანს.

უაღრესად მოკლე ხანში შეეძელითო ახალი სიმძლავრეების შექმნა და ქარხნის ტექნიკური განახლება. შარშან 6500-ის ნაცვლად 7524 ცალი ნავთობმომპოვებელი ჩასაძირი ძრავა დავამზადეთ. ამკამად ნავთობის საკავშირო ამოღების 30 პროცენტი ჩვენი ძრავებით ხორციელდება. ეს, ცხადია, კარგია, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ მკვეთრად გადიდდა ძრავების საიმედოობა. 1980 წელს გამოშვებული ძრავები პირველ შეკეთებამდე მხოლოდ 241 დღე-ღამეს მუშაობდნენ. კოლექტივის შეუნელებელი მეცადინეობით ეს მაჩვენებელი ორჯერ და მეტად გაუზარდეთ. დღეს ჭუთაისური ძრავები 452 დღე-ღამის მაქსიმალურ დატვირთვას უძლებენ. ეს კი ქვეყანას პირობითად 184 მილიონ მანეთს უზოგავს.

— **რა ფაქტორები დაუპირისპირეთ საწარმოს ტექნიკურ განახლებასთან და პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, პრობლემებს?**

— მკაცრად ვიცავდით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის განხორციელების გრაფიკს, უკეთ ვიყენებდით სიმძლავრეებს, რაციონალურად ვხარჯავდით მატერიალურ რესურსებს. წარმატების მოპოვებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ეკონომიკის მართვის საკითხებისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და ადამიანის ფაქტორის გაძლიერებამ, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებამ, მათმა კომეტენტურობამ და, რატ არანაკლებ მნიშვნელოვანია, დისციპლინის განმტკიცებამ, და ეს ლიტონი სტატვები როდია.

თქვენ თვითონ განსაჯეთ: სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევები შემცირდა 7-ჯერ, ხოლო კადრების დენადობა — 3-ჯერ. ამ მხრივ დარგისა და რესპუბლიკის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ. მომჭირნეობისათვის ბრძოლით ნაგარაუდები 2424 ტონის ნაცვლად 3918 ტონა შავი და ფერადი ლითონი, მილები დავზოგეთ. დაინერგა დეტალების დამუშავების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროგრესული ტექნიკა და სხვა.

— **რა დასკვნები გამოიტანეთ ამხანაგ ვ. ს. გორბაჩოვის გამოსვლიდან ტიუმენისა და ტომსკის ოლქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე 1985 წლის 6 სექტემბერს?**

— თათბირზე აღინიშნა, რომ ნავთობის მომპოვებლებს მთელი რიგი საწარმოები ყოველთვის ვერ აწვდიან მოთხოვნებს შესაბამის ტექნიკას. საერთოდ ჭუთაისური ელექტროძრავები მოსწონთ ციმბირელ ნავთობის მომპოვებლებს. ამის შესახებ, სხვათა შორის, გამოკვეთილად ითქვა ქ. სურგუტში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შარშან ოქტომბერში გამართულ თათბირზე, რომელიც ნავთობის ამოღების საკითხებს მიძღვნა. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მენავთობეთა წინსვლაში ფასდაუდებელი იყო ჩვენი საწარმოს წვლილიც. სისტემატურად ვასრულებდით პროდუქციის მიწოდებას ვალდებულებას. მეთერთმეტე ხუთწლედში მომხმარებელს 327 000 ძრავი გავუგზავნეთ, რაც თითქმის ორჯერ სჭარბობს მეათე ხუთწლედის მაჩვენებელს. ჩვენი პროდუქციის დიდ პრესტიჟს მოწმობს ის ფაქტიც, რომ წლეულს საფრანგეთის ერთ-ერთ ფირმას, 150 ცალი ძრავა უნდა გავუგზავნოთ.

— დიახ, ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ მიღწეულს ვერ დავჯერდებით. დროს ვერ გააჩერებ. მის მსვლელობასთან ერთად იზრდება მოთხოვნებიც უკეთეს პროდუქციაზე. გარდა ამისა, ნავთობმომპოვებლებმა ჩვენი ძრავების მიმართ გამოთქვეს ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა და სურვილები, რომლებსაც დაუყოვნებლივ გავითვალისწინებთ.

ელექტროძრავები გარეგნულად არ გამოიყურება მიმზიდველად, და ეს არც არის საჭირო. ისინი დედამიწის ზედაპირიდან 1500-2000 მეტრ სიღრმეში მუშაობენ და ადამიანის ხელშეუხებლად 400-500 დღე-ღამეს უნდა იმოქმედონ.

— **მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანებზე რას გვეტყვით?**

— ისინი მეტად რთული და პასუხსაგებია. საქმე ის არის, რომ ციმბირის ნავთობის პირველი ეტაპის მოპოვების მეთოდებმა თავისი როლი შეასრულა. დამთავრდა ნავთობის მოპოვების შედარებით იოლი ხანა. ახლა საჭიროა მისი მთლიანად მექანიზებული მოპოვება. ამიტომ უნდა ავითვისოთ ახალი ძრავები, რომლებიც მიწის სიღრმეში მუშაობის უმკაცრეს პირობებს გაუძლებენ. 1,7-ჯერ გაიზრდება პროდუქციის გამოშვება და სპეციალ ხუთკუთხედით აღნიშნულ ნაკეთობათა წვლილი წარმოების მთლიან მოცულობაში 85 პროცენტს მიაღწევს, 1,5-ჯერ გადიდდება შრომის ნაყოფიერება, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 10,6 პროცენტით შემცირდება.

გარდა ამისა, ჩვენი საწარმო სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მიმართულებით სპეციალიზებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების ვიბროტუმბოების — „ირონის“ გამოშვებაზე, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა. შარშან ავითვისეთ ახალი სახეობის ტუმბოს დამზადება და მისი მასალატევადობა წინამორბედთან შედარებით 2-ჯერ შევამცირეთ, გავაუმჯობესეთ ტუმბოს საექსპლოატაციო თვისებები. ტუმბოების გამოშვების ზრდისათვის თერეოკოის რაიონს სოფელ ეწერში გავხსენით ფილიალი, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგიდან ამოქმედდა და 50 ათას ცალ ამგვარ პროდუქციას დაამზადებს. საწარმოო სიმძლავრეებს ავტომობილ „ჟიგულის“ სათადარიგო ნაწილების დასამზადებლადაც შეექმნით, გამოვუშვებთ სხვა სახეობის სახალხო მოხმარების საქონელსაც.

როგორც ხედავთ, ჩვენ წინაშე დასახული ამოცანები საკმაოდ პასუხსაგები და რთულია, მაგრამ ისინი რეალურია და მთ აუცილებლად დადაწყვეტთ. უფრო მეტიც, სკკპ ყრილობისწინა დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანებისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა დაჩქარებული განხორციელებისათვის საწარმოს კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელობამ სთხოვეს ზემდგომ ორგანოებს მეთორმეტე ხუთწლედის პროდუქციის გამოშვების დაძაბული გეგმა კიდევ გაგვიდიდონ 4 მილიონი მანეთით.

ხუთწლედის დიდი პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის ჩვენი სპეციალისტები დაეგება. ამიტომ უნდა ავითვისოთ ახალი ძრავები, რომლებიც მიწის სიღრმეში მუშაობის უმკაცრეს პირობებს გაუძლებენ. 1,7-ჯერ გაიზრდება პროდუქციის გამოშვება და სპეციალ ხუთკუთხედით აღნიშნულ ნაკეთობათა წვლილი წარმოების მთლიან მოცულობაში 85 პროცენტს მიაღწევს, 1,5-ჯერ გადიდდება შრომის ნაყოფიერება, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 10,6 პროცენტით შემცირდება.

გარდა ამისა, ჩვენი საწარმო სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მიმართულებით სპეციალიზებულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების ვიბროტუმბოების — „ირონის“ გამოშვებაზე, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნაა. შარშან ავითვისეთ ახალი სახეობის ტუმბოს დამზადება და მისი მასალატევადობა წინამორბედთან შედარებით 2-ჯერ შევამცირეთ, გავაუმჯობესეთ ტუმბოს საექსპლოატაციო თვისებები. ტუმბოების გამოშვების ზრდისათვის თერეოკოის რაიონს სოფელ ეწერში გავხსენით ფილიალი, რომელიც მიმდინარე წლის დამდეგიდან ამოქმედდა და 50 ათას ცალ ამგვარ პროდუქციას დაამზადებს. საწარმოო სიმძლავრეებს ავტომობილ „ჟიგულის“ სათადარიგო ნაწილების დასამზადებლადაც შეექმნით, გამოვუშვებთ სხვა სახეობის სახალხო მოხმარების საქონელსაც.

შეესაბამება მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს

ხარისხის ეტალონები — უფლავათო

ვანო ნაკაიძემ 50 წელი იმუშავა წყალთა მეურნეობის სისტემაში, აქედან 28 წელი მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის სახლეტმოი სამმართველოების უფროსად, ხოლო 27 წელი — რესპუბლიკის ყოფილი მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში საექსპლოატაციო სამსახურის განყოფილების უფროსად.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც განაგრძობდა სამინისტროს სპეციალისტად ნაყოფიერ მუშაობას. დღესაც აქტიურად მონაწილეობს სამელიორაციო საქმიანობაში, ეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს პრაქტიკულ მუშაობაში.

ღვაწლმოსილი მელიორატორი 25 სამეცნიერო-პოპულარული შრომის ავტორია. აქედან წიგნად გამოცემულია ექვსი, მათ შორის სახელმძღვანელო ოფლის მეურნეობის საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის.

მისი უანგარო შრომა სათანადოდ არის დაფასებული: მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით, მინიჭებული აქვს შრომის ვეტერანის საპატიო წოდება. ახლახანს ღვაწლმოსილ ვეტერანს 75 წელი შეუსრულდა.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ ვ. ნაკაიძის ახალ სტატიას.

ეკონომიურობა — მელიორაციის სამსახურში

დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი!

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ საზოგადოებისათვის სტრატეგიული ამოცანაა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარება, წარმოების ინტენსიფიკაცია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამ ისტორიულმა დებულებამ, ისევე როგორც სხვა სფეროში, მელიორატორთა წინაშე დასახა ახალი ამოცანები: საქმე ეხება არა მარტო მელიორირებული მიწების ფართობების ზრდის ტემპის დაჩქარებას, არამედ სარწყავი მეურნეობის ახალ თვისებრივ განვითარებას, სწრაფ წინსვლას სასოფლოსთო მომარაგების გაუმჯობესების საქმეში, ხალხისათვის საჭირო საქონლის წარმოების გადიდების გადაუდებელ ამოცანებს.

ახლა საჭიროა სიმძიმის ცენტრი ახალი სამელიორაციო მშენებლობიდან გადავიტანოთ მელიორირებული მიწების ეფექტიან გამოყენებაზე, საექსპლოატაციო სამსახურის დონის ამაღლებაზე და სარწყავი წყლის ეკონომიურად გამოყენების მეთოდებზე, რადგან სამელიორაციო მშენებლობაზე ტექნიკის სიახლენი უფრო მეტად ინერგება, ვიდრე არსებული სისტემების ექსპლოატაციის დარგში.

როდესაც ლაპარაკია მელიორაციაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, უნარნარეს ყოვლისა უნდა გადაიჭრას სარწყავი წყლის დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისა და წყლის ეკონომიურად ხარჯვის პრობლემები.

როგორ შეიძლება ამის მიღწევა?

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სარწყავი წყლის დანაკარგების შემცირება შეიძლება სისტემების საინჟინრო მომსახურების დონის ამაღლებით, ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებებით, რწყვის ტექნიკის მაღალი ტექნიკური დონეს; მაგალითად, დიდი არხების მოპირკეთება პოლიმერული აპკით და ქსოვილით, ბეტონის და რკინაბეტონის საფარით, ხოლო საშუალო და პატარა არხები ჩაისვას ღარებში ან მილსადენში. ამასთან ერთად სისტემებს უნდა ჰქონდეთ მარეგულირებელი ნაგებობები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სარწყავი ქსელის დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტის მიღებას და წყლის დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას.

სარწყავი წყლის მომჭირნედ გამოყენების „გაუმჯობესების ერთ-ერთი არსებითი რეზერვია რწყვის ტექნიკის მარგი ქმედების კოეფიციენტის გადიდება, ეს კი ნიშნავს, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი ზედაპირული რწყვის მეთოდები; პირველ ყოვლისა ეს უნდა მოხდეს მცირე მექანიზაციის დანერგვით, ღრეკადი მილსადენების, სიფონრებისა და მილაკების გამოყენებით, გაბედულად უნდა გადავიდეთ ხელოვნურ დაწვიმებზე, მორწყვის ერთ-ერთ პროგრესულ საშუალებაზე; ეს მეთოდი უკანასკნელ წლებში ფართოდ განვითარდა კავშირში და ჩვენშიც უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. დაწვიმებით რწყვას საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რელიეფური პირობების გამო. ხშირად ჩვეულებრივი, თვითდინებითი რწყვა შეუძლებელია, ან მეტად ცუდ შედეგს იძლევა ეროზიული მოვლენების გამო. მაგალითად, საგორის ველის უმეტეს ნაწილზე ძნელდება თვითდინებითი რწყვის გამოყენება; ასეთივე მდგომარეობაა თეზ-ოკამის, ვანათის, კეხვის და სხვა სისტემებზე.

მეორე მხრივ, მთაგორიან ადგილებში დაწვიმების გამოყენებისათვის უკეთესი პირობებია, ვინაიდან ასეთ ადგილებში სიმაღლეთა დიდი სხვაობა წყლის ბუნებრივი წნევის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად ასეთი შესაძლებლობისა, საქართველოში ხელოვნური დაწვიმება ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის გამოყენებული. დღეისათვის რესპუბლიკაში ამ მეთოდით სარწყავი ფართობის მხოლოდ 20 პროცენტამდე ირწყვება, რაც არასაკმარისია.

უკვე დროა სერიოზულად მოკიდოთ ხელი რწყვის მექანიზაციის დანერგვას, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით უნდა შეიმუშაოს ზედაპირული რწყვის ტექნიკის მარგი ქმედების კოეფიციენტის გადიდების მიზნობრივი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სარწყავი მილსადენების, სიფონების და მილაკების სამრეწველო წარმოება, ამასთან ერთად, ხელოვნური დაწვიმების ახალი ტიპის მანქანა-მექანიზმების შემოზიდვა და მექანიზატორთა კადრების მომზადება და უახლოეს წლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე რწყვის მექანიზაციის მაქსიმალური დანერგვა საზოგადოებრივ მეურნეობებში. ამით დიდძალ სარწყავ წყალს დავზოგავთ და, რაც მთავარია, შეკამცირებთ მუშახელის რაოდენობას და გავზრდით მრწყველთა შრომის ნაყოფიერებას.

ამასთან ერთად, ყურადსაღებია წყლის მოხმარების საფუძვლიანი ნორმების დამუშავების და მათი კორექტირების ხასიათი ცალკეული კულტურებისათვის. არავისათვის საიდუმლო არ არის ის ფაქტი, რომ წარსულში შემუშავებული რწყვის ნორმები და ვადები მოძველებულია და არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სარწყავი წყლის ეკონომიურად გამოყენების ღონისძიებებს მეურნეობები მიმართავენ მხოლოდ წყლის ნაკლებობის დროს, როცა ამა თუ იმ მიზეზის გამო სარწყავ სისტემებში შეიმჩნევა წყლის სიმცირე. სხვა დროს კი ამ ღონისძიებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

იმისათვის, რომ ამ საქმეს ყოველდღიურად ყურადღებას ვაქცევდეთ, საჭიროა შეიქმნას საჩვენებელი მეურნეობა დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან. მეურნეობა სანიმუშოდ უნდა აღიჭურვოს ყველა საჭირო მოწყობილობით და ჰყავდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ასეთია სამელიორაციო სამსახურის დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებათა არასრული ნუსხა, რომელთა განხორციელება უახლოეს წლებში პერიოდული თანმიმდევრობით დიდ სარგებლობას მოიტანდა რესპუბლიკის სარწყავ მეურნეობას.

ვ. ნაკაიძე,

რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი.

ოფიციალური განკოფილება

დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შექმნისა და მათი საქმიანობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში საჭიროდ არის მიჩნეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარი მიმართულებებით შეიქმნას დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები, რომელთა მიზანი იქნება დიდეფექტიან სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების ახალთაობათა შექმნისა და წარმოების ათვისების სამუშაოთა მთელი ციკლის შესრულება. ამ კომპლექსებს შემადგენლობაში უნდა შევიდნენ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები, საცდელი საწარმოები.

დადგენილია, რომ დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები მეთაური ორგანიზაციები არიან ქვეყანაში ამ კომპლექსებისათვის დაკისრებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. ისინი უზრუნველყოფენ, რომ მოაწყონ და კოორდინაცია გაუწევონ დიდეფექტიან სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების შესაქმნელად ფუნდამენტურ და გამოყენებითს კვლევას, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოებს; დაამზადონ საცდელი ნიმუშები და სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიიყვანონ ისინი სერიულ წარმოებამდე; მოამზადონ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების, დაგეგმვა, ორგანიზაციებისა და საცდელი სამუშაოების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები; სამინისტროებსა და უწყებებს ხელი შეუწყონ კომპლექსების მიერ შემუშავებული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების სახეობათა მაღალეფექტიან გამოყენებასა და შემდგომ სრულყოფაში; შეასრულონ და კოორდინაცია გაუწევონ ქვეყანაში კვლევასა და ნამუშევრებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის შესაბამის დავალებათა მიხედვით.

სახალხო მეურნეობაში დიდეფექტიან სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების ფართო მასშტაბით დანერგვის ხელშეწყობისათვის მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას საინჟინრო ცენტრები უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცდილებით, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების შემადგენლობაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ ხუთწლიანი და წლიური გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობაში დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების მიერ შემუშავებულ ახალ სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების ფართო გამოყენება.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში კადრების დამკვიდრების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავისა და ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების კადრების დამკვიდრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად ორ და სამცვლიანი გრაფიკით ან უწყვეტი სამუშაო კვირის გრაფიკით მომუშავე ამ გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაკებისათვის შემოღებული იქნება ნამსახურობის გამო ერთდროული გასამრჯელო 0,6-1,5 თვიური ტარიფის განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) ოდენობით უწყვეტი სამუშაო სტაჟის მიხედვით.

სამკერვალო, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან კონვეიერებსა და ნაკადურ ხაზებზე, წესდება ტარიფის განაკვეთები იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია ამ დარგში შრომის მძიმე და მავნე პირობებში დასაქმებული მუშებისათვის.

ღამე მუშაობისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების ოდენობა უდიდდებათ მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან სამრეწველო-ტექნიკურ პროგრამების, დაგეგმვა, ორგანიზაციებისა და საცდელი სამუშაოების ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტები; სამინისტროებსა და უწყებებს ხელი შეუწყონ კომპლექსების მიერ შემუშავებული ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების სახეობათა მაღალეფექტიან გამოყენებასა და შემდგომ სრულყოფაში; შეასრულონ და კოორდინაცია გაუწევონ ქვეყანაში კვლევასა და ნამუშევრებს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის შესაბამის დავალებათა მიხედვით.

სახალხო მეურნეობაში დიდეფექტიან სახეობათა ტექნიკის, ტექნოლოგიისა და მასალების ფართო მასშტაბით დანერგვის ხელშეწყობისათ

გ. გველესიანის, ი., ბარათაშვილის, ა. ნაჯიროვის, დ. ცაბარეიშვილის ნაშრომთა ციკლი „ფრესნელური არაორგანული ნაერთების თერმოდინამიკური მახასიათებლების თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა“.

მეცნიერულ სიახლეთა ძიების გზით

ქიმიისა და მეტალურგიის ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნა, რაც ამ დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველია, შეუძლებელია მათი მეცნიერული საფუძვლების დამუშავების გარეშე. ეს გარემოება თავისთავად გულისხმობს ფუნდამენტურ მეცნიერებათა ისეთი მნიშვნელოვანი დარგის ინტენსიურ განვითარებას, როგორიც ქიმიური თერმოდინამიკაა. ჩვენც და უცხოეთშიც ამ მიმართულებით გაწეულ დიდ მუშაობაში ერთერთმა სწავლულმა გამოიჩინა თავი. კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილი ხვდა წილად აწ განსვენებული აკადემიკოსის ნიკოლოზ ლენდიას ნაღვაწს.

ქიმიური თერმოდინამიკის, როგორც ქიმიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგის განვითარებას, რომელიც მთელი რიგი საყურადღებო პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, სჭირდება სარწმუნო მონაცემების მიღება და დაგროვება ნივთიერებათა თერმოდინამიკური მახასიათებლების შესახებ. მათი განსაზღვრის მიზნით აუცილებელია ფართო და მიზანდასახული თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები.

სწორედ ქიმიური თერმოდინამიკის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას ეძღვნება განსახილველ ნაშრომთა ციკლი, რომელიც შეიცავს ორ მონოგრაფიას, ერთ კრებულს და 52 სტატიას. იგი აკამებს და განაზოგადებს ავტორთა მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის მეტალურგიული პროცესების ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში განხორციელებული კრისტალური არაორგანული ნაერთების თერმოდინამიკური მახასიათებლების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს.

ავტორთა კოლექტივმა მეცნიერული შრომა წარმართა თერმოდინამიკურ მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირთა დადგენის, მათი საანგარიშო მეთოდების დამუშავებისა და ნივთიერებების ძირითადი თერმოდინამიკური კონსტანტების ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებით.

ის თვალსაჩინო წარმატებანი, რომლებსაც ავტორებმა ნივთიერებათა თერმოდინამიკური მახასიათებლების კვლევის სფეროში, კერძოდ, თერმოდინამიკური კონსტანტების ურთიერთკავშირის ერთიანი და თანამიმდევრული თეორიის დამუშავებაში მიაღწიეს, ფართოდ არის ცნობილი. მათ შექმნეს მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ურთიერთკავშირები თერმოდინამიკურ სიდიდეებს შორის უნივერსალური თანაფარდობების სახით. ავტორებმა პირველად ჩამოაყალიბეს მყარი ნივთიერებების თერმული, დრეკადი და თერმოდრეკადი მახასიათებლების ურთიერთკავშირის სრულყოფილი თეორია და ამით მიაღწიეს უაღრესად საყურადღებო შედეგებს.

მათ ასევე საინტერესო შედეგები მოიპოვეს თერმოდინამიკური მახასიათებლების საანგარიშო მეთოდების დამუშავებაში. შემუშავებულია ახალი მეთოდები კრისტალური არაორგანული ნაერთების უმნიშვნელოვანესი თერმოდინამიკური კონსტანტების დიდი სიზუსტით გასაანგარიშებლად ტემპერატურისა და წნევის ფართო ინტერვალში სხვადასხვა საწყისი მონაცემების გამოყენებით, რაც უმეტესწილად გამორიცხავს შრომატევადი ექსპერიმენტული კვლევის საჭიროებას. საანგარიშო მეთოდები წარმოდგენილია მარტივი ალგორითმების სახით, ეს აადვილებს მათს პრაქტიკულ გამოყენებას.

შრომათა ციკლი შეიცავს დიდი მოცულობის ექსპერიმენტულ მასალას. ავტორთა მიერ კონსტრუირებულია პრეციზიული დანადგარები, რომელთა საშუალებით გამოკვლეულია 60-ზე მეტი კრისტალური არაორგანული ნივთიერების, უმეტესად იშვიათ მიწაელემენტების ჟანგბადოვანი ნაერთის მაღალტემპერატურული ენთალპიის, სითბოტევადობისა და გიბსის ენერგიის მნიშვნელობები. ამ მახასიათებლების ექსპერიმენტული მონაცემები აღნიშნული ნივთიერებების დიდი უმრავლესობისათვის პირველადაა მიღებული. ექსპერიმენტული თერმოდინამიკის სფეროში უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე გამოქვეყნებული შრომების ანალიზი მოწმობს, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ შესწავლილი ნივთიერებათა რიცხვი აღემატება საზღვარგარეთის მოწინავე თერმოდინამიკურ ცენტრებში გამოკვლეულ ნივთიერებათა რაოდენობას, რაც ინტენსიურ და ეფექტიან კვლევაზე მეტყველებს.

ამ მეცნიერთა მონოგრაფიები და სტატიები კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. მათ დიდ შეფასებას აძლევენ ისეთი გამოჩენილი სწავლულები, როგორიც არიან აკადემიკოსები ნ. ჟავორონკოვი, ნ. ვატოლინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. გელდი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. ტარანი, კუბაშევსკი (გფრ), ოლეკოკი (კანადა), კრამერი (აშშ), ფერო (იტალია), პასტორი (საფრანგეთი) და სხვები.

ნაშრომთა ციკლში წარმოდგენილმა განტოლებებმა და საანგარიშო მეთოდებმა უკვე მოიპოვა ფართო აღიარება. თანამედროვე ლიტერატურული მონაცემებისა, მათი უმეტესი ნაწილი დანერგილია თერმოდინამიკური გაანგარიშებათა პრაქტიკაში, შეტანილია ქიმიური თერმოდინამიკის დამხმარე სახელმძღვანელოებში და გამოყენებულია არაერთი ლითონის ოქსიდების, ჰალოგენიდების, ფოსფიდების, არსენიდების და მყარი და თხევადი ბორის უმნიშვნელოვანესი თერმოდინამიკური მახასიათებლების უცნობი მნიშვნელობების დიდი სიზუსტით პროგნოზირებისათვის. მრავალი ექსპერიმენტული მონაცემი შეტანილია ფუნდამენტურ ცნობარებსა და მონოგრაფიებში, რომლებიც გამოცემულია როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ და შეყვანილია თერმოდინამიკური მონაცემების ავტომატიზებულ „ბანკებში“, რომლებიც ფუნქციონირებს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის თერმოდინამიკურ ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა.

ნაშრომთა ციკლის მთავარი ღირსებებია განხილულ აქტუალურ პრობლემებთან ფართო ლიტერატურული [illegible] ორიგინალური მეთოდები და თერმოდინამიკური [illegible] [illegible] [illegible]

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო მექსიკელი ჟურნალისტები, რომლებიც მოგზაურობენ ჩვენი ქვეყნის გაცნობის მიზნით. მოგზაურობა მოეწყო ახალი ამბების სააგენტოს ხელშეწყობით.

ამხ. პ. გილაშვილმა სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის ისტორია, უამბო მათ, თუ რა წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველომ ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში. მან უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა რესპუბლიკის პერსპექტივებს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესაბამისად, გააცნო მათ საქართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარე ექსპერიმენტები აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის დარგში, ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებასთან, სკოლის რეფორმის განხორციელებასთან.

საქართველო — სპეციალური ნომრის მისამართი

საქართველოში სამ დღეს სტუმრობდნენ ფინეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის გაზეთ „უუსი ვალტას“ („ახალი ხელისუფლება“) მთავარი რედაქტორი კლაუს ვენტიოკი და მისი მოადგილე ილპო კივივუორი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მოწვევით იმყოფებოდნენ.

სტუმრები შეხვდნენ თბილისისა და რუსთავის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, დაათვალიერეს საწარმოები, დაინტერესდნენ იქ მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური პროცესით, აგრეთვე საქართველოს კომკავშირელთა როლით მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში დანერგვისათვის. სტუმრები მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, სადაც გაიმართა აზრთა გაზიარება.

საინტერესო ღონისძიება მოუწყვეს სტუმრებს ჯადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში, სადაც ისინი ჩვენს სახელოვან დიდოსტატ ქალებს ნონა გაფრინდაშვილსა და ნინო გურიელს შეხვდნენ.

სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ეკოლოგიური პრობლემებისადმი. ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტში შეხვედრისას მათს შეკითხვებზე, კერძოდ, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად რესპუბლიკის ფლორასა და ფაუნაში, როგორ ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს, პასუხი გასცეს კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კაპარავამ და სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

ფინელი ჟურნალისტები ეწვივნენ აგრეთვე კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეს. სტუმრებმა საგამოფენო დარბაზში „ფიროსმანში“ დაათვალიერეს სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი ქართველ მხატვართა გამოფენა, დაესწრნენ ანსამბლ „მზიურისა“ და ხალხური ცეკვის — „ბავშვთა ანსამბლის „ცისკრის“ გამოსვლებს.

საქართველოში სტუმრობის შთაბეჭდილებებს, ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ ცხოვრებას, მის მაჯისცემას სტუმრები თავიანთი გაზეთის სპეციალურ ნომერს მიუძღვნიან.

მ. გიორგოგიანი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. №14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, ᲐᲛᲮᲐᲜᲗᲐᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲒᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲝᲡ — 99-66-10; ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲚᲢᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ — 99-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲘᲡ — 99-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ — 99-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 99-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01; ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 99-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 99-28-54, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 99-95-24.

ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 290-68-47; ᲡᲝᲩᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-86; ᲑᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲧᲘᲡᲢᲐᲕᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲘᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 28-66; ᲮᲣᲘᲑᲣᲚᲘ — 25-32.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲣᲐᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ქვალის“ 1894 წლის მეათე ნომერში დაიწყო აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალის“ ბეჭდვა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი მეთორმეტე ნომერში წერდა: „... ჩვენდა სასიამოვნოთ „ქვალის“ უკანასკნელმა ნომერმა მოგვიტანა დასაწყისი ჩვენს ძვირფასს და საყვარელს პროტის აკაკის ავტობიოგრაფიისა, რომელსაც ეწოდება „ჩემი თავგადასავალი“ და რომელშიაც, როგორც ეტყობა, დაწვრილებით იქნება მოთხრობილი ყოველი ნაბიჯი ჩვენს ლიტერატურის დამამშვენებლის და საუკეთესო მოღვაწისა. რა დიდი საგანძური იქნებოდა ჩვენთვის, რომ სხვა ჩვენ მწერალთა და მოღვაწეთაც, მაგალითად გ. ალ. და ვ. ორბელიანებს, ალ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, დ. ყიფიანს, გ. და დ. ერისთავებს, დიმ. ბაქრაძეს და სხვებსაც მოეღოთ შრომა და დაეგდოთ შთამომავლობისათვის თავიანთი თავგადასავალი. მაშინ ხომ ჩვენთვის ცხადი იქნებოდა, ამ მეცხრამეტე საუკუნის ისტორია, რომელიც ახლა ასე ბნელით არის მოცული... დასასრულ ვისურვებთ, იმათ, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან და კალმის ხმარება შეუძლიათ, მიჰბაძონ აკაკის და გვამცნონ თავიანთი წარსული ცხოვრება“.

ხოლო თვით მოგონებების ავტორი — აკაკი წერეთელი, „ჩემი თავგადასავალის“ გამოცემასთან დაკავშირებით, ასე აფასებდა თავისი მემუარების მნიშვნელობას:

„ერთად-ერთი ჩემ თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს და გასაოხრებლად მენანება, არის „ჩემი თავგადასავალი“, ნათქვამია: „ყვავსაც თვის ბახალა მოსწონსო“, შეიძლება დიდი არა იყოს-რა, მაგრამ მე კი წმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყოლიფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარ საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია: საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინცდამაინც, იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა. აქ არიან მოხსენებული: 1) ჩვენი მოღვაწეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოზის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის და სხვათა მრავალთა, ვისიც წერილი კი საზოგადო საქმეს შეხებია. 2) ბიოგრაფია საზოგადო მოღვაწეების და ჩემი პირადი შეხედულება მათ შესახებ. 3) ბანკების დაარსება ჩვენში, წარკოთხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედ მოყოლებული ავან-ჩავანებით. 4) ბატონყმობის ამბავი. 5) ძველებური ზნეჩვეულებანი. 6) მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღება. 7) სასტორიო ანეკდოტები და სხვანი...“

მემუარული ლიტერატურის გამოცემის საკითხს 1972 წელს გაზეთ „კომუნისტში“ (24.III.№70) წერილი უძღვნა პროფესორმა ს. ხუციშვილმა — „ძვირფასი წყარო — ქართული მემუარული ლიტერატურის გამოცემა საშური საქმეა“, ხოლო ამ წერილის გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ პროფესორმა ა. იოსელიანმა ჟურნალ „მნათობში“ (1982 წ.№3) დაბეჭდა წერილი „მემუარული ჟანრის თავისებურებანი“. ორივე ავტორი მიუთითებდა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემუარებს, როგორც ერთ-ერთ პირველწყაროს საზოგადოებრივი აზროვნების შესასწავლად.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი მემუარული ლიტერატურისადმი. ამას მოწმობს ამ ჟანრის რამდენიმე ახალი წიგნის გამოცემაც: ი. იმედაშვილის „ჩემი ცხოვრების წიგნი“, ივ. ლოლაშვილის „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“, ქ. ხუციუბინის „შალვა ნუცუბიძე“, ალ. ბარამიძის „ახლო წარსულიდან“, ნ. ნიკოლაძის „მოგონებები (პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით), ქ. ჯავახიშვილის „მიხეილ ჯავახიშვილი“, გ. იმედაშვილის „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე“, ს. დურმიშიძის „ზოგი რამ წარსულიდან“, კ. ჩარკვიანის „განცდილი და ნაბარეი“.

კეთილშობილურ მიზანს ისახავს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ „ქართული მემუარული ლიტერატურის“ სერიის დაარსება. ამ სერიის მიზანია გამომამეუროს და შთამომავლობას გააცნოს ჩვენს სიძველეთსაცავებში და პირად არქივებში დაცული ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მემუარები, ასევე, გამოსცეს დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული დიმ. ყიფიანის, სოფ. მგალობლიშვილის, გ. ლასხიშვილისა და სხვათა მემუარები.

ამ სერიით უკვე გამოვიდა თედო სახოკიას „ჩემი საუკუნის ადამიანები“, მზად არის დასაბეჭდად იაკობ მანსვეტაშვილის „მოგონებები — ნახული და გაგონილი“. წელსვე გამოვა დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“. სარედაქციო პორტფელშია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თანამედროვეთა მოგონებებში“, იპ. ვართაგავას, ს. ფირცხალავას, ირ. სოხოლაშვილის მოგონებები. გამოსაცემად მზადდება ალ. ჯაბადარის, ს. ვერსამიას, ალ. მიქაბერიძის, ალ. ჯანელიძის მემუარები. აგრეთვე იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ და იოანე ქართველიშვილის „მემუარები“, რომლებიც 1950 და 1952 წლებში გამოსცა პროფესორმა ა. იოსელიანმა.

მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მწერალი ქალების — ეკ. გაბაშვილის, ნ. ნაკაშიძის, ბ. ხოსიტაშვილის მოგონებების გახსენება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკადემიკოს ვ. ბერიძის „მოგონებები“, რომლის შემოკლებული ვარიანტი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე დაიბეჭდა და რომელსაც ცალკე წიგნად მიიღებს მკითხველი.

ეს მოგონებები ჩვენი კულტურული ცხოვრების მატიანეა — იგი მოიცავს პეროიდს ოცაინი წლების დასაწყისიდან დღემდე. აშუქებს ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიას 60 წლის მანძილზე — გვაცნობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების ეტაპებს, მოგვითხრობს ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარებაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის — ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევის მთავარი ცენტრის დაარსებასა და საქმიანობაზე, იმ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და გამოფენებზე, რომელთაც მსოფლიოს გააცნეს ქართული კულტურის მნიშვნელობა. წიგნში მკითხველი შეხვდა ჩვენი მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრ წარმომადგენელს, რომლებთანაც მოგონებების ავტორს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა.

წიგნი უხვად იქნება ილუსტრირებული ფოტოდოკუმენტებით და ავტორის ჩანახატებით.

მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე წერილში „კოლორიტული ანარი“ წერს: „როგორ ამკობენ ჩვენს დიდ მწერლობას, რა განუმეორებელ კოლორიტსა და ელფერს მატებენ დიმიტრი ყიფიანის, აკაკის, მანსვეტაშვილის, ლასხიშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, დავთი კლდაშვილისა და დასასრულ შალვა დადიანის მოგონებები! რა დაუფასებელ განძს შეიცავენ ეს წიგნები, როგორ ავსებენ და ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას დიდ წინაპრებზე, ერის სასიქადულო შვილებზე. და არა მარტო ადამიანთა ურთიერთობას წარმოგვიდგენენ უფრო სრულად და სწორად, არამედ აზროვნებისა და კულტურის ისტორიასაც ავსებენ და ამდიდრებენ.

რამდენს დაჰკარგავდა ქართველი ხალხი, რომ ზემოთ ნახსენები წიგნები არ არსებულიყო, რომელნი ჯაქი ადამიანთა ურთიერთობის გაწყვეტილი აღმოჩნდებოდა, რამდენ ფაქტს მრუდე სარკეში დაენახავდით, რამდენ საზოგადოებრივ მოვლენას სამუდამო ჩრდილი მოეფინებოდა... დღეს, როცა ეპისტოლური ლიტერატურა სულ უფრო და უფრო მცირდება და ღარიბდება, მემუარული ლიტერატურის ხელოვნების დაარსებასა და სამეცნიერო საერთაშორისო ტურნირის პერიპეტიებზე, ცალკეულ ორთაბრძოლებზე...

და აი, ესტაფეტა ჩაიბარა ძიუდომ, ტატამი უხმობს მსოფლიოს საუკეთესო ფალავნებს!

საერთაშორისო ასპარეზობა, რომელიც დღეს იწყება, რიგით მეჩვიდმეტეა და სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ სამ დღეს ადეკნონ თვალი იაპონიისა თუ ბელგიის, იტალიისა თუ ესპანეთის, დასავლეთ გერმანიისა თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ესპანეთისა თუ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა თუ საბჭოთა კავშირის, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ძიუდოისტთა ორთაბრძოლებს.

რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს, იგი ცალკე გუნდად იასპარეზებს, და ამდენად, გულშემატკივართათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი საგელდანელო, ინტერვიუ გუნდის უფროს მწვრთნელთან დილარ ხაბულანთან.

— ასპარეზობისათვის, რამდენადაც ამის შესაძლებლობა გვქონდა, სერიოზულად ვემზადებოდით ჯერ ბაკურიანში, შემდეგ კი ჩვენსავე ბაზაზე — თბილისში. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა გაითვალისწინეს ჩესპუდლიკის სპორტკომიტეტის თხოვნა და უკანბლივ ყველა ქართველ ფალავანი გამოათხოვეს ფალავნის ამ ასპარეზობისათვის.

საგანგებოდ მინდა გავუსვა ხაზი ერთ გარემოებას: ტურნირისათვის ჩვენთან ერთად ემზადებოდნენ კორეელი და მონგოლი ძიუდოისტებიც, რაც ფრიად სასარგებლო გახლდათ მათთვისაც და ჩვენთვისაც.

ამჟერად ტატამზე ოცდაოთხმდე ქართველი ძიუდოისტი გამოვა. ძრატე წონაში ორ-სამ ახალგაზდას გამოვცდით და ქვემძმე წონაშიც ახალგაზრდები — ვახტანგ ჯაფარიძე, გია ხოსიტაშვილი და დავით მარტყოფიშვილი ეასპარეზებენ. 71 კილოგრამ წონითს კატეგორიაში რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ ევროპის ჩემპიონი თამაზ ნამგალაური, ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ლერი ნაკანი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული გია გოგოლაური და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენი ბათურ ჯიქური. რაც შეეხება „ქვესაშუალოებს“, აქ ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი და შარშანდელ საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული ენგურ გოგიჩაიშვილი ეასპარეზებენ; საშუალო წონაში არჩევანი ბორის ფირცხელაზე, ჯემალ მჭედლიშვილზე, ანზორ თეხაძესა და დავით ვარძელაშვილზე შეეგარეთო, ქვემძმემში ძმოლოდ კობა ჟურტახიძე, მძიმეში კი ბალხან ბერუაშვილი; აკაკი ბობრძალიძე და ავთანდილ გუბელაძე იჭიდავებენ.

დანარჩენს თავად ასპარეზობა გვიჩვენებს.

ᲞᲘᲢᲐᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲪᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲔᲠᲘᲐ ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲐ